საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თორის ქვაბული

თორის ქვაბული, თორის ქვაბულიმთიანი ქვაბული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს მდინარეების გუჯარეთისწყლისა და ბორჯომულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) აუზებს. სამი მხრივ შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედის ტოტებით: ჩრდ-ით – გვირგვინას ქედით, აღმ-ით და სამხრ-ით – ციხისჯვრის ქედებით, დას-ით კი ღიაა ბორჯომის ხეობისაკენ. ქვაბული დანაწევრებულია ბორჯომულის, გუჯარეთისწყლისა და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადების ხეობებით. დამახასიათებელია რელიეფის ტექტონ.-ეროზიული და ნაირგვარი ვულკანური ფორმები. მეოთხეული პერიოდის ვულკანურმა პროცესებმა არსებითი როლი შეასრულა ქვაბულის ბუნებაზე. თ. ქ-ის სხვადასხვა სახის ყომრალი ნიადაგი მეტწილად ტყითაა დაფარული, ძირითადად მუქწიწვოვნებით (სოჭი, ნაძვი) და წიფლით. არის ნაძვნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარ-ფოთლოვანი ტყეებიც, ზოგან – მარტო ფიჭვნარიც. გვირგვინასა და ციხისჯვრის ქედების თხემებზე სუბალპ. მდელოებია. სუფთა ჰავა ბუნებრივი ტყეები, მინერ. წყლების სიუხვე, ლამაზი წყალსატევები (კახისის, წეროს, დაბაძველის ტბები), განუმეორებელი თვალწარმტაცი ლანდშაფტი, თ. ქ-ს მნიშვნელოვან ჯანმრთელობის კერად აქცევს. აქ მდებარეობს ბალნეოლ. და კლიმ. კურორტები: ბორჯომი ცემი წაღვერი ლიბანი ბაკურიანი ტბა და სხვ.

დ. უკლება